№ 69 5 აპრილი, ოთხშაბათი 1866—1878 5 აპრილი, ოთხშაბათი № 69

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 1 აპრილს. გერმანიის იმპერატორმა მისწერა წერილი რუმინიის მთავარს კარლოსს და სთხოვა, რომ ბესარაბია დაუთმოს რუსეთს.

ვენა, 1 აპრილს. რუსის ჯარების გაწევა რუმინიისაკენ აქ დიდ მღელვარებას ახდენს. გერმანია შუამავლობს რუსეთსა და ინგლისს შუა. იმედი აქვთ, რომ საქმე უომოთ.

პეტერბურღში, 2 აპრილს. როცა გამართლებული ვერა ზასულიჩი გამოვიდა სასამართლოდგან, დიდ ძალი ხალხი გაჰყვა იმას ქუჩებში და ამ დროს ხალხსა და პოლიციასა და ჟანდარმებს შუა შეტაკება მოხდა. ერთმა ვიღაც სიდოროცკიმ ორჯერ ესროლა რევოლვერი ჟანდარმებს; ერთმა ტყვიამ დასჭრა რაჭაილოვის ქალი, მეორე ტყვია კი თვითონ მოირტყა საფეთქელში და იქვე მოკვდა. ამ საქმის თაობაზე გამოძიება არის დანიშნული.

სტამბოლი, 1 აპრილს. ოსმალოები გალიპოლის ნახევარ-კუნძულზედ სიმაგრეებს აშენებენ; ამ ციხეების აგებას ინგლისის ინჟინერები უგდებენ ყურს და ხელმძღვანელობენ.

ვენა, 3 აპრილს. დასავლეთ ჰერცოგოვინის უსტაშები დაბრუნდნენ ცეტინიედამ და მიდიან პოპოვოში იმ განზრახვით, რომ ხელ-ახლად მოჰკიდონ ხელი თოფ-იარაღს და ჩერნოგორიის დროშის ქვეშ აჯანყდნენ.

ლონდონი, 3 აპრილს. აქაური გაზეთები ამბობენ, რომ კონგრესსის შედგენაზედ და მშვიდობიანად საქმის გათავებაზედ ცოტა იმედი არისო. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს განხეთქილება რუსეთსა და ინგლისს შუა უომოთ არ გათავდება.

პეტერბურღი, 4 აპრილს. „რუსის ინვალიდში" დაბეჭდილია: „დიდმა მთავარმა მიხაილ ნიკოლოზის ძემ მიიღო თავის სასახლეში არტილლერიის ღენერლები და შემდეგი სიტყვა უთხრა იმათ: „ძალიან მიხარიან თქვენი ნახვა, უფალნო; სასიამოვნოა აგრეთვე ჩემთვის გაცნობოთ, რომ კავკასიის არტილლერიის ჯარმა ამ ომშიაც ისეთ ნაირად გამოიჩინა თავი და დაიმსახურა სახელი, როგორც წინანდელ ომებში; უფროსი და უმცროსი ყველა ჩინებულად დაუხვდნენ მტერს."

ლონდონი, 2 (14) აპრილს. რუსეთმა აცნობა ოსმალეთს, რომ, თუ ის მოეხმარება ინგლისს, ამ შემთხვევაში ოსმალეთის იმპერია ევროპაში დაიმხობაო.

პეტერბურღის ბირჟა, 4 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

	მან.	კაპ.
ლონდონი — „ — „	„	„
ამსტერდამი — „ — „	„	„
ჰამბურგი — — „	„	„
პარიჟი — — „	„	„
შინაგანი სესხის ბილეთები 5%:		
პირველი სესხის — —	229	50
მეორე სესხის — — —	226	„
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემის —	96	25
მეორესი — — — —	95	75
მესამესი — — — —	95	„
მეოთხესი — — — —	95	„
აღმოსავლეთის — —	93	25
ოქრო, ½ იმპერიალი —	8	30

საქართველო

უსარგებლო ხარჯი

რამდენიმე კორრესპონდენცია მივიღეთ ჩვენ იმერეთის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ, რომლებშიაც გვწერდნენ და შემოგვჩიოდნენ, რომ ჩვენს სასოფლო შკოლებში შაგირდები აღარ დაიარებიანო, სოფლებს სურთ დაკეტონ ეს შკოლები, რადგან ტყუილ-უბრალოდ მუდამ წლიწადს მასწავლებლისთვის ფულს იხდიანო, მაგრამ უფროსები ისეთნაირად ახერხებენ საქმეს, რომ ამის ნებას არ აძლევენ და ხალხი ამ უსარგებლო ხარჯსაც იხდისო. სხვათა შორის, დღევანდელ ჩვენი გაზეთის ნომერშიაც ერთს ამგვარ კორრესპონდენციას ნახავს მკითხველი.

არავითარი საფუძველი არა გვაქვს ჩვენ, რომ არ დავერწმუნოთ იმ პირთ, რომელნიც ამ გვარ გასაკვირველ ამბებს გვწერენ იმერეთიდამ.

გასაკვირველს იმიტომ ვამბობთ, რომ ვერ გაგვიგია—ვის აქვს უფლება, რომ ეს შკოლის ხარჯი ძალა-დატანებით გადაახდევინოს სოფელს; ვერ გაგვიგია, ზოგიერთი უსინდისო მამასახლისისა და მასწავლებელის გარდა, სხვას ვის რა სარგებლობა აქვს, რომ გლეხებს ფული ხდებოდეს, შკოლა ითვლებოდეს და შკოლაში კი ერთი შაგირდიც არ დაიარებოდეს?

კანონით, სოფლის საზოგადოების ნებაყოფლობაზედ არის დამოკიდებული — გამართავს თავის სოფელში შკოლას და გამოიღებს ამისთვის საჭირო ფულს, თუ არა. ძალ-დატანება არავის არ შეუძლიან. როცა უნდა, როცა ენებება, მაშინ გახსნის სოფელი თავის შკოლას და როცა უნდა, მაშინ დახურავს. ვიმეორებთ, ეს მარტო სოფლის სურვილზე და ნებაყოფლობაზედ ჰკიდია.

მაგრამ, როგორც ეტყობა, იმერეთში ეს ასე არა ხდება: ერთხელვე გახსნილ შკოლას, თუნდაც ამ შკოლაში კაცი არ დაიარებოდეს, არ აკეტინებენ; ერთხელვე ხალხისაგან თავის ნებით გამოღებულ ხარჯს, თუნდაც ეს ხარჯი მხოლოთ მამასახლისის ჯიბეში მიდიოდეს, აღარ სპობენ.

მიზეზი? მიზეზი ის, რომ, როგორც ზემო-იმერეთიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია გვაცნობებს, მამასახლისსა და უშაგირდოთ დარჩენილ მასწავლებელს პირობა აქვთ თურმე ერთმანეთში მიცემული, რომ გადაახდევინე ხალხს შკოლის ფული და შუაში გავიყოთო, ნახევარი შენ, ნახევარიც მეო!

რამდენსამე საზოგადოებას უჩივლია უეზდის უფროსთან, მაგრამ პასუხს დღესაც ელიანო; და ამასობაში ხალხს შკოლის ხარჯი ძველებურად და უკლებლად ხდება და მოგროვილი ფული მამასახლისისა და უსაქმო მასწავლებლის ჯიბეში მიდის!

რა უნდა ჰქმნან ამ გვარს მდგომარეობაში ჩავარდნილმა იმერეთის სოფლის საზოგადოებებმა? ჩვენი რჩევა ეს არის: უნდა შეიკრიბნენ, დაადგინონ კანონიერად განჩინება, სოფელმა გადაწყვიტოს, რომ, რადგან შკოლაში შაგირდები არ არიან, ეს შკოლა უნდა დაიხუროს და იმის ფული საზოგადოებამ აღარ უნდა გადახდეს, და ამის შემდეგ აღარავინ აღარ უნდა გამოიღოს შკოლის ფული.

ვნახოთ მაშინ, რომელი მამასახლისი გაბედავს ამ ფულების გადახდას, და რა საფუძველს, რა კანონს წარმოადგენენ ამ ზომის მისაღებლად. .

შემდეგში ჩვენ მოვილაპარაკებთ იმა-

ზე, თუ რამ დაბადა იმერეთში ამისთანა სამწუხარო მოვლენა, რომ სოფლელები იძულებული არიან, თავიანთი შკოლები ასე უდროვოთ დაკეტონ.

ს. მ.

დღიური

** ჩვენს ოფიციალურს გაზეთს „კავკაზში" დაბეჭდილია უფ. თფილისის ღუბერნატორის განკარგულება, რომლის ძალითაც თფილისის ღუბერნიის უეზდის უფროსებსა და აგრეთვე თფილისის, გორის და ახალციხის ქალაქების გამგეობებს წინადადება ეძლევათ, რომ შეადგინონ სანიტარული კომიტეტები და დაუყოვნებლივ იზრუნონ იმათთვის მინდობილ ქალაქებისა და მაზრების გაჯანმთელებისა და გასუფთავებისათვის.

ამ კომიტეტების თავს-მჯდომარედ უნდა იქმნენ უეზდების უფროსები; იმაში მიიღებენ მონაწილეობას ადგილობრივი ექიმები, თავად-აზნაურთა წინამძღოლები და სხვა წარჩინებულნი პირნი.

კომიტეტებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რომ ქალაქები და სოფლები გაასუფთავონ, ქუჩები ხეირიანად შეინახონ, ფეხის-ადგილები წმინდათ იყოს, პირუტყვი ქალაქს და სოფელ გარეთ დაჰკლან სადმე, თუ სახადი გაჩნდა ანუ პირუტყვის ჭირი, მიცვალებულები და დახოცილი საქონელი ღრმათ დამარხონ და სხვა ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ ჯანმრთელ ხალხსა და პირუტყვს არ გადაედვას სნეულება და სხვ. და სხვ.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ჩინებული, ყოვლად მოსაწონი განკარგულებაა; ვისურვოთ, რომ ეს განკარგულება მარტო სიტყვიერ განკარგულებად არ დარჩეს, რომ ყურადღება მაქციონ იმის საქმით აღსრულებასაც. ურიგო არ იქნება აგრეთვე, რომ ამ ჩინებულ მაგალითს ჩვენი ქვეყნის სხვა ღუბერნატორებმაც მიბაძონ...

** ოდესის გაზეთს „Правда"-ში („სამართალი") იწერებიან ოსმალეთში: მყოფ რუსის არმიისათვის საჭიროა დიდძალი თივა, რომელიც უნდა მოაგროვონ შავი ზღვის ნაპირა ადგილებიდამ და მერე აქედამ ზღვით სან-სტეფანოში და ბუიუქ-დერეში წაიღებენ.

ამ ამბის მოყვანის შემდეგ, ხსენებულს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები:

„პოდრიადით მოპოება ჯარისათვის თივისა და აგრეთვე სხვა ყოველგვარი საჭირო საგნისა, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, სასარგებლოდ დარჩა მხოლოთ პოდრიადჩიკებისთვის და ხაზინისა, ჯარისა და მემამულებისათვის (ამ საგნების მაწარმოებლებისათვის) კი ერთობ საზარალო.

„რამდენჯერმე იყო გამოთქმული ის ჰაზრი, რომ უკეთეს იქნებოდა იჯარით გაცემა მოსპობილიყო და თვითონ ხალხს, თვითონ მწარმოებლებს, ერობას ეკისრა ხსენებული საჭირო საგნების წარდგენა ჯარისათვის, უ-შუამავლოთ, უ-ჩარჩებოთ.

„ამ ჰაზრის სისრულეში მოყვანა სცადა პირველად ოდესის ერობამ, რომელმანც ადგილობრივ საინტენდანტო მთავრობას წინადადება მისცა, რომ პირდაპირ ჩვენ წარმოგიდგენთ ჯარისათვის საჭირო თივას და სურსათსაო."

** გასულ კვირას და ორშაბათს გვარიანი წვიმა და ნიაღვარი იყო ჩვენს ქალაქში. რაღა თქმა უნდა, რომ ამ დროს წვიმა ძალიან მოუხდება და არგებს სოფლის მოსავალს.

სამშაბათს მზემ გამოჰყიტა თვალები და საკმაოთ თფილოდა. ქალაქის ბაღებში ხეხილი და ყოველ გვარი მცენარე ფოთლებით იმოსება და საზოგადოთ ბუნებას გაზაფხულის ფერი და შეხედულება ეძლევა...

„დროების" კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთი, 29 მარტს. ამ დღეებში სოფლის შროშის საზოგადოების მამასახლისს ჰქონდა ყრილობა მწერლის დაქირავების თაობაზე. მწერალი ორი წელიწადი მეტია, რაც მსახურებდა, წელიწადში თვრამეტ თუმნად. მამასახლისს კიდევ უნდოდა დაეყენებინა ხელახლად, მაგრამ საზოგადოებამ უარი ჰყო და არ მიიღო იგი. მის მაგიერ სხვა დანიშნეს, რომელსაც ჯამაგირათ ასი მანეთი დაუდვეს.

ამ ყრილობაზე მრთელმა საზოგადოებამ დაადგინა შემდეგი განჩინება: „19 მარტს, ჩყოჲ-სა წელსა, ჩვენ ქვემო ამის ხელის-მომწერთა ერთ-ხმად გადავსწყვიტეთ: რადგან ჩვენ გაგვახსნევინეს ძალით შეუფერებელ ადგილას შკოლა რომლის აშენება საზოგადოებას სამას თუმნად დაგვიჯდა; ჯერ დაგვინიშნეს უსწავლელი კაცი მასწავლებლად, რომელმანც არაფერი არ იცოდა და ორი წლის განმავლობაში ტყუილად გადაგვახდევინა 500 მ., რომელსაც არ უსწავლებია არც ერთი მანეთის საღირალი; ამის დათხოვნის შემდეგ დაგვინიშნეს კიდევ გამოუცდელი და უსწავლელი ყმაწვილი, რომელიც ბავშვებს სრულებით არ ასწავლის და რომლის მიზეზისა გამო ერთი წელიწადია არავინ არ შეიყვანა შვილი და ჩვენ ტყუილა ვიგლიჯებით მამასახლისისაგან და ამისთანა უნაყოფო და უხეირო შკოლა ჩვენი დამღუპველი შეიქმნა; შკოლისთვის მოგროვილი ფულით სხვა სარგებლობს და ჩვენ ანგარიშს არავინ გვაძლევს— ამისა გამო ერთხმათ გარდავწყვიტეთ: დაიხუროს ეს შკოლა და თავისუფალი ვიყვნეთ ასე უბრალო ფულის გარდასახადისაგან."

მამასახლისი ეუბნებათ მათ: თქვენ არა გაქვსთ უფლება მაგისთანა განჩინება დაადგინოთო. წარმოდგება ერთი ათიოდე გლეხი წინ და ეუბნება მას: თქვენ ხომ კი გაქვსთ უფლება ჩვენში მოგროვილ ფულები მიირთვათ! სად არის შაგირდები გვაჩვენეთ?

— მე მთავრობის ბრძანება მაქვს, ერთი შაგირდიც რომ არ იყოს, მაინც უნდა იხადოთ მასწავლებლის ჯამაგირი...

— ვისი გადაწყვეტილობა არის, კაცო ეგ? ვის გაუგონია, რომ ასე ტყუილ-უბრალოთ ეხდევინებინოთ ხალხისთვის ფული?

— ბევრს ნუ ლაპარაკობთ, თორემ აქტს შეგიდგენთ და მივსწერე იწინაალმდეგეს-მეთქი!

—აქტი შეუდგინე მაგათ, ეუბნება მასწავლებელი მამასახლისს, და მიწერე იწინაალმდეგეს მთავრობის წინაალმდეგ-თქო. დირექტორმა და უეზდის ნაჩალნიკმა დიდი ხანია გადაწყვიტეს, რომ ერთი ბავშვიც რომ არ მყავდეს შკოლაში, მაინც უნდა იხადონ ჩემი ჯამაგირი... (ბოლოს ჩუმათ ეუბნება მამასახლისს...) უბრძანე, რომ წავიდ-წამოვიდნენ, თორემ შენც მოგაკლდება სარგებლობა... შენ მოაგროვე ხოლმე და მე ნახევარს გაძლევ და სრულ კვიტანციას გაძლევ.

— წადი-წამოდით! ხმა ჩაიწყვიტეთ! ჰყვირის მამასახლისი.

— ჩვენ კი წავალთ, მაგრამ აპა მოვიდეს ვინმე შკოლის ფულზე და ჩვენ ვიცით რასაც უზამთ... ჩვენ ავირჩიეთ ვექილები, ვთხოვთ უ. ნაჩალნიკს, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ეხლა უმაღლეს მთავრობას მივიქცევით და ვნახოთ რას გვიბრძანებს. შენ ხარ, მამასახლისო, ჩვენი დამღუპველი. წრეულს სახელმწიფო ფულში ორ აბაზათ დაგტყუე ჩაფი ტკბილი, იმისთანა ხერხები გვიყავი, და ბოლოს ჩვენ ორ აბაზიან ღვინოში სამი მანეთი აიღე. შენ რა გიშავს: ჩვენ სული გვძვრება პირიდამ, მაგრამ შენ რას დაეძებ?

ამ ნაირი ყაყანითა და ჩივილით დაიშალა კრება. არ ვიცით—მიეცემა ახლა რამე ძალა და მნიშვნელობა ამ კრების განჩინებას, თუ არა...

N. N.

ომის ამბები

ომის შემდეგ

გაზეთის „Indep. Belge"-ის კორრესპონდენტი იწერება ვენიდამ:

„ავსტრო-ვენგრიის მმართებლობამ არავითარი გარდაწყვეტილი პასუხი არ უთხრა ღენ. იგნატიევს, რომელმანც სხვადასხვა პირობები შეაძლია იმას და სან-სტეფანოს მორიგების პირობის ბევრს მუხლში შეცვლა დაჰპირდა.

„ამბობენ, გრაფ ანდრასჩიმ გამოუცხადა იგნატიევსაო, რომ ავსტრო-ვენგრია არაფერ პირობაზედ არ დათახმდებაო იმის ჰაზრით, ეს საქმე მთელ ევროპას შეეხება და ამის გამო რაზედაც ამ ევროპის სახელმწიფოები დათანხმდებიან, ავსტრიაც იმაზე თანახმა არისო."

—

სტამბოლიდამ იწერებიან „მოსკოვის უწყებებში":

„ოსმალეთის მმართებლობამ გაათავისუფლა 24 მარტს 500 ტყვე-რუსი, რომელნიც სტამბოლში იყვნენ. რადგანაც საქმეები ისევ დაიხლართა და ოსმალეთსა და რუსეთს შუა ამის გამო რუსის მთავრობა ახლა თავის აფიცრებს აღარ აძლევს უფლებას, რომ სტამბოლის სანახავად წავიდნენ.“

—

„რეიტერის სააგენტოში“ იწერებიან: „რუსები ამბობენ, რომ ოსმალოს ტყვეები ამჟამად რუსეთში სულ 50,000-ზე მეტი არ არისო. ოსმალეთის სამხედრო მთავრობის ანგარიშით კი რუსის არმიამ ამ ომში უკანასკნელი 120,000 კაცი დაატყვევა იმათი ჯარი; მაშა სადამე ამ ანგარიშით 70,000 კაცი ოსმალოს ტყვე სხვა-და-სხვა ავათმყოფობისაგან დახოცილა რუსეთში.“

—

ბაზეთს „ახალს დროებაში“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა სტამბოლიდამ 26 მარტს მიღებული:

„ბალიპოლის ნახევარ-კუნძულს ამ უკანასკნელ დღეებში საჩქაროთ ამაგრებენ ოსმალოები. ნამდვილის წყაროდამ შევიტყე, რომ აქ ბალიპოლში და სტამბოლში ოსმალოებს ჰყავთ ამ ჟამად 248 კარგათ გაწვრთნილი და დახელოვნებული ჯარი. ეს გარემოება, რომ ოსმალოები ბალიპოლს ამაგრებენ და ახალ ჯარს იმზადებენ სტამბოლში, ყველას არწმუნებს, რომ თუ რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა, ოსმალეთი გულ-ხელ-დაკრებილი არ დაუწყებს ცქერას ამათ ბრძოლასა და უეჭველია, ამ ბრძოლაში გაერევა.“

—

ვენის გაზეთს „პრესსეში“ იწერებიან ბერლინიდამ:

„ნამდვილად ამბობენ აქ, რომ თ. ბისმარკი ცდილობსო, რომ ავსტრია გაიჩეროს, არ მიაღებინოს მონაწილეობა ბრძოლაში და იმედი აქვთ, რომ ის თავის მეცადინეობას შეისრულებს; მაშ საფიქრებელია, რომ მარტო ინგლისი და რუსეთი დარჩებიან ერთმანეთის მოწინააღმდეგედ. და ვინ იცის, იქნება მაშინ ამ ორ სახელმწიფოს შუაც კი აღარ ატყდეს ბრძოლა.“

წერილი რედაქტორთან

I

უფალო რედაქტორო! ამ რამდენიმე დღის წინეთ პრიკაზის კარებში შემხვედა უ. ბორის მიროვოი პოსრედნიკი თ. ივანე ელისბარის ძე ერისთავი და ჩვეულებრივ ხელის ჩამორთმევის შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა:

„—შეორედ რომ მოიწერო ლეხურის ხეობიდგან შენ ან სხვამ კორესპონდენცია, შიგ ჩასწერე, რომ ის უ. ერისთავი თვის 20 ცი კი არ იღებს ჯამაგირს, სწორედ 21-ში იღებს!.

თანაც დააყოლა: ვინც ასე არ დასწეროს, ასეთი და ისეთი იქნებაო; რაც თავის თავის საკადრისი იყო და რისაც გაზეთში დაბეჭდა არ შეიძლება, წამოსთქვა და შურდულის ქვასავით შეევარდა პრიკაზის ოთახებში.

ბბა ამისთანა კაცისაგან კარგსა და პატიოსანს საზოგადოებისთვის კაცი რას უნდა მოელოდეს! კაცი, რომელსაც იმოდენი საქმის გაგება და ზრდილობაც არ მოსდევს, რომ, თუ რამ უსამართლობა იყო ჩემ კორესპონდეციაში მაზედ ნათქვამი, შეეძლო დაერღვია კალმით და არა უშვერი კინტოური ლანძღვით!

აი რა გვარნი არიან ჩვენში ზოგიერთი პოსრედნიკები.

ზოგიერთი ჩვენებური მიროვოი პოსრედნიკების უნიჭობა და უხეირობა რომ დავამტკიცო, მოვიყვან ერთ ყმაწვილი თავადის ნაამბობს ამ ლეხურის ხეობიდგან:

„მე და ჩემი გლეხები აგერ ერთი წელიწადია მოვრიგდით; შევასყიდე მეოთხედი თავის მამულისა და პოსრედნიკს ვთხოვეთ, რომ შეედგინა გამოსყიდვის პირობები (выкупной договоръ). სამჯერ წარადგინა იმ პოსრედნიკმა ბუბერნსკი პრისუტსტვიაში და სამჯერვე დაუბრუნეს როგორც უვარგისი, და ეხლა კი, ერთი წლის შემდეგ, გამამიცხადა, რომ დავკარგე ზოგიერთი ქაღალდები, ჩავალ ქალაქში, კოპიოებს გამოვიტან და შეგისრულებ საქმესაო.

ერთი წილი ამ გვარი პოსრედნიკები არიან ჩვენში და კიდენაც სწყრებიან, რომ როგორ ბედვენ ჩვენ წინააღმდეგ ხმის ამოღებისაო!.

სტეფანე მელიქიშვილი

მარტის 22.

II

უფალო რედაქტორო! თქვენ გაზეთს „დროებაში“ მე-62 №-ში იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია სურამიდგან, რომელიც სხვათა შორის შემეხებოდა მეცა. რადგან მე მინდა იმ კორესპონდენციის შესახებ რამდენიმე შენიშვნა წარმოვთქვა, ამიტომ გთხოვთ ადგილი მისცეთ ჩემ შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზეთში.

სურამელ კორესპონდენტს სახეში პიროვნებითი იძულება ჰქონებია, მოუნდომია ჩვენი გალანძღვა, გადაუკეთებია თავის კორესპონდენცია საზოგადოების გემოზედ და რადგან ლიტერატურაში მიღებულია ზრუნვა დაჩაგრულ მდაბალ ხალხისთვის, მათი დაღუპვაც მოუწერია ჩვენთვის, და ამბობს კორესპონდენციაში, რომ ჩვენგან სურამის მაზრა აკლებულიაო, ჩვენის მოწყალებით მრავალი სისხლის სამართლის საქმეა ატეხილი და მრავალი გლეხი და ღატაკი არის დაღუპულიო.

ჩვენი მოქმედების დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითიც. მეც მაგალითს მოვიყვან იმის დასამტკიცებლად თუ რას ეძახის კორესპონდენტი გლეხების და ღატაკების დაღუპვას, რადგან ეს მაგალითი ან თვითონ დავიწყებია, რომ მოეყვანა, ან არა და სხვას არ ურჩევია.

თ. კ. ა—ძე არ გახლავთ სურამელი, ის არის ბეკმელი. მაგრამ იმას ვერ დაუდვია ბინა ბეკამში, თუმცა მამა-პაპეული სახლ-კარი აქვს და ადგილი დაბეჭ ჰქონია კარმიდამოს. ბეკელ-ეროვნებას უმოქმედია მათზედ და სახლ-კარი დანგრეულა, ღობეც გამცვდარა. ინქაური მცხოვრებლების საქონელი ვერ ხედავდნენ მდგმურს და რასაკვირველია უიმისოთაც გამცვდარ და დაქელილს ღობეს, უფრო ჰქელამდნენ შეუპოვრად. ეს შეიტყო თავადმა და განრისხებულის გულით მოეკიდა საქმეს: იჩივლა პოლიციაში და შეიტანა საჩივარი მომრიგებელ მოსამართლესთან ხუთას მანეთ ზარალზედ.. მოსამართლემ გაუჩინა ბეკმელებს, რომ გადიხადონ ხუთასი მანათი და ჩაბარონ თ. კ. ა—ძეს. ამ დროს გაჩნდა ბ. უ—ნი, აიღო საქმე, გადიტანა საჩივარი ოლქის სასამართლოში და ამბობენ, მოიგოვო, მაგრამ უკაცრავათ, ამბობენ კი არა, ნამდვილად მოიგო და ამ მატყუარამ, გლეხების დამღუპველმა, გამოართვა ქრთამი ხუთი თუმანი. როგორ დაღუპვა არ არის გლეხებისა?! მოდი და ამის შემდეგ ნუ იქნება განრისხებული კანონიერის გულის წყრომით თ. კ. ა—ძე ბ. უ—ნზე და მის მეგობარს ამგვარ შემთხვევაში ი. ე—ზედ.

ახლა ის მაგალითიც განვიხილოთ, რომელიც კორესპონდენტს მოჰყავს ჩვენის უპატიოსნების და ხალხის დაღუპვის დასამტკიცებლად. კორესპონდენტი ამბობს, რომ ჩვენ ყალბი აღმასრულებელი ფურცელი შევადგინეთ, რომ თ. ა—ძის დაუსწრებლად და უპოვესტკოთ გავყიდეთ მისი მამული 80 მანეთათ, 2,000 მანეთათ ღირებული და ამის თაობაზედ სისხლის სამართალში ვართ მიცემული და სხვ. და სხვ. მაგრამ ეს ყველა თავიდგან ბოლომდის სრულიად ჭორია. ნამდვილათ აი საქმე რაში მდგომარეობს: თ. კ. ა—ძეს და კნეინა თ. ე—სას ჰქონდა პროცესსი მამულის თაობაზედ. კ—ნა ე—ის მხრით ვექილად იყო ბ. უ—ნი და ეს პროცესი მის-და-სასარგებლოდ გათავდა, რის გამოც თავადს მიაკრეს ზურგში ცამეტი თუმანი საქმის საწარმოებელი და აღმასრულებელი ფურცელიც მისცეს, მაგრამ ყალბი კი არა, ნამდვილი, სუდისგან გაკეთებული. რადგან უ—ნს ერგებოდა საშრომი, ამიტომ ის აღმასრულებელი ფურცელი თ—მა მასზედ გარდაცა საკუთრებად ზედ-წარწერით (по передаточной надписи), რომელიც ხაშურის მამასახლისისგან არის დამტკიცებული. პრისტავს სურდა ჩაებარებინა უწყება თ. კ. ა—სთვის, რომ მან გარდიხადოს მოხსენებული ფული; მაგრამ მან არ მიიღო უწყება.

პრისტავმა დააწერა უწყებაზედ, რომ არ მიიღოო და მოწმებათ უარანგოზიშვილი და ხიმშიევი დაისწრო, აუწერა მამული და დანიშნა გასასყიდლათ. მამული მაინც არ გაყიდულა. ა—ძემ შეიტანა საჩივარი მომრიგებელ მოსამართლესთან და მართლაც უ-უწყებოთ და ბ. უ—ნის დაუსწრებლათ მოსამართლემ განიხილა საქმე, გაყიდვა შეაყენა და რადგან ზედ-წარწერის შესახებ პოდ-

ლოგი გამოაცხადა თ. ა—ძემ, მოსამართლემაც პროკურორს გადასცა საქმე სისხლის სამართლით, თუმცა იქ სისხლის სამართლის საქმე სულაც არ იყორა და არც ნება ჰქონდა ა—ძეს პოდლოგის გამოცხადებისა, რადგან იმისთვის სულ ერთია ბ. უ—ნს მისცემს ფულს, თუ კნეინა თ. ე—სას, იმას მიცემა ხომ არ ასცდებოდა და თუ მაინც და მაინც უ—თვის არ უნდოდა მიცემა, მაშინ ან პრისტავისთვის უნდა წარედგინა ფული და ან სუდში; მაგრამ მოსამართლეც ა—ძის აზრისა გამოდგა და საქმე, როგორცა ვსთქვი, პროკურორთან არის გაგზავნილი, თუმცა ეჭვი არ არის, რომ პროკურორი წარმოებას არ მისცემს მას. ახლა ვკითხოთ კორრესპონდენტს, საიდამ მოელანდა ყალბი აღმასრულებელი ფურცლის გაკეთება, მამასახლისის და სუდიის მოტყუება, და უმეტესად 80 მანეთად 2,000 მანეთის მაშულის გაყიდვა? საიდამ მოელანდა ჩემი ამ საქმეში მონაწილეობის მიღება და ან მე რა შუაში ვარ ამ საქმეში?..

ი. მელიოზაშვილი

ს. სურამი

განცხადებანი

პირველი სანიტარული ატრიადის უფროსისაგან

პირველი სანიტარული ატრიადის უფროსი ამით უცხადებს თავის უბნის (ქალაქის I გახყოფილების 1-სა და 3 უჩასტკის მცხოვრებლებს, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ აუცრან ყვავილი თავის შვილებს, რადგან ამ ჟამად ყვავილი გავრცელებულია ქალაქში.

ყვავილის აცრა შეიძლება ჭავჭავაძის ქუჩაზე, საპოლის ქუჩის პირ-და-პირ, საცა სამშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით დილის 10 საათიდამ ყვავილის ასაცრელად არიან მუდამ ექიმები; ამას გარდა სანიტარულ კომიტეტს ჰყავს ყვავილის ამცრელი, რომელიც ვალდებულია პირველ-მოთხოვნაზედვე მივიდეს ოჯახებში და აუცრას ყმაწვილებს ყვავილი.

3—1

ისყიდება ყუთობით საუკეთესო **მაზი** (**წასაცხები**) ფაიტონების და სხვა პოვოზკის ბორბლებისათვის.

თითო ყუთი ღირს 50 კაპეიკად.

მსურველს შეუძლიან მიმართოს **სარაჯევის ქარვასლაში ბ ა ر ს ე ვ ა ნ რ ა ტ ი ა ნ თ ა ნ** (3—2)

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ვ ა ს ი ლ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს ა

ისყიდება: **თ ფ ი ლ ი ს ში**—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს ში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

(5—4)

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია აღ. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

ისყიდება: **ქ ა ლ ა ქ ში**—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, **თ ე ლ ა ვ ს**—იოსებ ქუზმანაშვილთან, **ქ ა რ ე ლ ს**—დავით ჭეროჩაშვილთან, **ხ ა შ უ რ ი ს ა** და **ბ ე ჟ ა თ უ ბ ნ ი ს** უფროსებში, **ს უ რ ა მ ს**—ზაქარია ბოლოვთან, **ქ უ თ ა ი ს ს**—იაკობ ოჭანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან **ფ ო თ ი ს**—ელისბარ ბაბალოვთან, **ბ ო ლ ნ ი ს ს**—თ. ივ. თაქთაქოვთან, **ს ა ქ ა ო ვ ე ს**—თ. ნიკ. დიასამიძესთან, **მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს**—მასწ. მოსე ნათაძესთან, **ბ ო ლ ო ს ი**—სტ. ზომოვეტან, **ფ ო თ ი ს ს ა ბ ა ნ ა ვ ა ნ ა ვ ა ტ ო ر ت ا ن** ბიბლიოთეკაში.

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდა პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებათ, **რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაგირისა, კარტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა** და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, **სიონის** პირ-და-პირ.

(25—9)

აბრაშუმის ჭიის თესლი (კვერცხი) **ი**ტალიის მოდგმისა, საღი ისყიდება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ფასი თითო მისხლისა **ექვსი შაური** ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

სალამური.

ანუ ლექსთა **კრება.**

გამოცემული **ზ.** ჭიჭინაძესი.

ფასი ოცი შაური.

თფილისში **ე.** ხელაძის. სტამბაში, **ქ**უთაისში, **ი.** მესხთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა **თ**ფილისიდამ:

	მ.	კაპ.
ქუთაისს, **ფ**ოთს . .	1	—
ბორს, **ლ**ეწეთს, **ს**ილნაღს	-	50
ოოსტოვს, **ო**დესას, **მ**ოსკოვს	2	—
პეტერბურგს, **ვ**არშავას . .	2	—
ოსმალეთში, **შ**ვეიცარიაში	3	—
იტალიაში და **ს**აფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თ**ფილისიდამ: **ს**ამზღვარ გარეთ, **ქ**უთაისს, **რ**უსეთს—**ყ**ოველ დღე კვირას გარდა. **ზ**ეგდ. ორშ. და სამშ. **ო**ზურ.—პარასკ. და ორშ. **ა**ხალთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქ**უთაისიდამ: **თ**ფილისისა და **ფ**ოთისაკენ—**ყ**ოველ დღე, კვირას გარდა. **ო**ზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
ბალეტდილის (სამი მისხალი) .	8

მაზარდა	მან	კაპ
თფილისი, 4 აპრილს		
ფქვ. თეთ. **ბ**ანჯისა, ფუთ.	1	80
ფქვილი **ფ**ოთელი . .	1	50
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა **ა**ერეკნისა, ფუთი .	7	50
— **ა**მერიკისა, ფუთი . .	8	50
ბალენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყული თუშური ფუთ.	8	20
—**თ**არაქამისა ფუთ. .	4	40
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	30
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—**ცხ**ვრისა, ლიტრა .	—	99
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, **ბ**ოლ. ფუთი .	8	20
—**ფ**ხვნილი ფუთი . .	6	50
ყავა **ბ**რაზილი, **ბ**ირვ.	—	70
ზეთი **ქ**ონჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, **ს**აშუალო ფუთი	8	55

თფილისის **ს**ამკურნალო	მან	კაპ
ერევნის **მ**აედანზე, **წ**ინამძღვაროვის **ს**ახლებში.	1	80
ავთმყოფებს **მ**იიღებენ **ყ**ოველ **დ**ღე,	1	50
კვირას **გ**არდა, **დ**ილის 8—10 **მ**დინ.	1	40
ო **რ** **შ** **ა** **ბ** **ა** **თ** **ს**: **მ**ინ**კ**ვეიჩი—**ხ**ირუ-	7	50
რგი, **ლ**ისიცევი—**შ**ინაგ. **ა**ვთმყ.	8	50
ს **ა** **მ** **შ** **ა** **ბ** **ა** **თ** **ს**: **ვ**ერმიშევი და	10	—
მარქაროვი—**შ**ინაგ. **ა**ვთმყოფობის,	8	20
თამამშევი—**თ**ვალის.	4	40
ო **თ** **ხ** **შ** **ა** **ბ** **ა** **თ** **ს**: **ლ**ისიცევი—**შ**ი-	2	—
ნაგანი **ა**ვთმყოფ., **ქ**იუჩარიანცი—**ვ**ე-	6	30
ნერიულის.	8	—
ხ **უ** **თ** **შ** **ა** **ბ** **ა** **თ** **ს**: **ვ**ერმიშევი—**შ**ინა-	13	40
განი **ა**ვთმყოფობისათვის.	1	8
პ **ა** **რ** **ა** **ს** **კ** **ე** **ვ** **ს**: **ლ**ისიცევი **ა**ს-	—	99
ტეროვი—**შ**ინაგ. **ა**ვთმყოფ. **დ**ა **მ**ინ-	5	20
კვეიჩი—**ხ**ირუ**რ**გ.	8	20
შ **ა** **ბ** **ა** **თ** **ს**: **ვ**ერმიშევი **ა**ი **მ**არქა-	6	50
როვი—**შ**ინაგანი **ა**ვთმყოფობის., **ქ**იუ-	—	70
ქიუჩარიანცი—**ყ**ურის **ა**ი **ხ**ირურგიულ	12	—
ავთმყოფ. **დ**ა **თ**ამამშევი—**თ**ვალის.	8	55

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Апрѣля 1878 г. Типографія Меликова. **ბ**ეჭდვა **მ**ეფლიკოვისა. **ბ**ეჭდვა **ს**ამ**ბ**ეჭდ**ი**ს **ბ**ეჭ**ი**ს **ბ**ეჭ**ი**ს **ბ**ეჭ